

თეატრი

№ 33

საყოველ-კვირო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

№ 33

17 აგვისტო

გამოცემა ყოველ კვირამათ

1886 წელს.

ესაი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მს. X ნსსკვარ წლით.... 3 მს. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქტ. კონტორაში ან წყნისკუთხე ქაჩავს. ფოთში ბ-ნი ბესარიას კაღანდარსას.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისეილება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექსონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უპირილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцруни № 110.

ცხოვრების თეატრი

„ივერიის“ დამაყვარდიდამ, ამოწერილი იმავე გაზეთის ახალი ამბიადამ და მეოთხურ წერილიდამ.—ჩვენს გაზეთზე გამოლაშკრების მაგალითი.—მიზეზი ამ გამოლაშკრებისა.—ლოკია „ივერიისა“ „ივერიისა“ წინააღმდეგე მიმართული.—უკულმა გადაბრუნებული „ივერია“.—„ივერია“ და „აირეგია“—მუწარგის „სავით“, „სავითა“ და „თივასა“.—რა არის უმართებულო და რა არის მართებული?—რუსული წიგნი ქაღებზედ.—

„დამაყვარდი“

„უკულაზედ უკეთესი წიგნი იგია, რომელშიაც უკულაზედ ბევრი მართალია“ ბუსტი. („ივერია“ № 175, 1886 წ.). „უკულაზედ უარესი წერილი იგია, რომელშიაც უკულაზედ მეტი სიკრუა.“ ბუსტის მაგიერი. („ივერია“ № 000)

ახალი ამბავი

„მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად ნამოეთს ბ-ნს კოვალევსკის.. გადაუთარგმნინებია ერთის ქართველის სტუდენტისათვის უკულა წერილები სვანეთზედ, დაბეჭდილნი გაზეთს „დროებასა“ და „ივერიაში“. „სტიციკმულს პროფესორს ეს ნომრები „დროებისა“ და „ივერიისა“ დიდის მოწიწებითა აქვს თურმე შენახული შიგნი-შიგან დაკეტილს შკათის უჯრებში.“ („ივერია“ № 171, 1886 წ.)

მეთაური წერილი

„საჭირო არ არის კაცის საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას იმ უცილობელის და უკვლასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებელად, რომ შირველ-ყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაუწყუნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ გან

საკუთრებით, გადაჭარბებით მიიწვ მიეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვა-და-სხვა საეკონომიო და საზოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თან-და-თან გზა დაუთმო პირადსა და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლებად გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონულობა, ესე იგი იმისთანა წუობა, რომელიც მარტო უფლებათა უმოვალეობა, უსაზღვრო, პირობა—დაუდებელი და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა გარდა კაცის პირადის კეთილ-დღეობისა...“



ერთმა შეუბრალებელმა ჩხირკედელმა ლიტერატორმა „ივერიის“ პირველად გამოსვლის დროს ამ გაზეთის სათაური გადააბრუნა და „აირევი“ გამოიყვანა. რა იცოდა ამ გულუბრუნვილომ, რომ მისი ჩხირკედელაობა ამ რვა წლისა შემდეგ გამართდებოდა და აუხდებოდა პეტრო-ცემულ გაზეთს. და როგორ აუხდა მერე! ენაც არია, ლოგიკაც და მიმართულებაც. თუ არა გჯერათ აი საბუთებიც:

„ივერიის“ „ნარკვევის“ ავტორმა გვიკვირნა ამ დღეებში ჩვენ სხვა-და-სხვა ცოდვები და და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ჩვენ გაზეთის მნიშვნელობა არ გვესმის. იყავნ ნება ბ. ნარკვევის ავტორისა (!) და გვიკისროს ეს ცოდვები, თუ მართლა ამ შენიშვნის წაკითხვის შემდეგ ცოცხად ჩაგვითვლის ვინმე. მართალია, ჩვენთვის ძნელია გამკლავება იმისთანა გაზეთთან, რომელსაც მთელი ევროპის სიბრძნე შეუძენია და „დიდი მოწიწებითა აქვს თურმე შენახული მიგნი შიგან დაკეტილს შგაფის (ანუ ტინის) უჯრებში (იხილე „დამაკვირდი“)... მაგრამ მოთმინება ვიქონიოთ და წინდაწინვე დასკვნას თავი დავანებოთ. ჯერ ბევრს მკითხველს დავიწყებელი არ ექნება მშვენიერი წერილი თვითონ „ივერიის“ მოძღვრის „ზოგიერთი რამ“, რომელშიაც ავტორი ამბობდა, რომ როდესაც ხალხი ან ადამიანი გონების დაკემად მივა, მაშინ ენასაც გარყვნის და სხვის ნაღაპარაკვესაც იმისთანა კილოს გამოაბამს, რომელიც მოღაპარაკვეს თავში სრულიად არ მოსვლიათ. ხალხის გონებითი განვითარებაზედ ჰკივია იმის ენის განვითარებაცაო. აი მე ხომ ენლა „ჰკივია“ ვთქვი,

მაგრამ გონება—გარყენილი და სულ-მდაბალი ადამიანი ამასაც კილოს გამოაბამსო.

ეს იყო დახლოვებით აზრი „ივერიის“ რედაქტორისა. მაგრამ ახლა რადასა ბძანებს ბ. „ივერიის“ რედაქტორი, როდესაც წაკითხავს რომ მისნი თანამშრომელი ერთგულად ასრულებენ იმ რეკვპტს, რომელიც იმან გონება-გარყენილ და სულ-მდაბალ ადამიანებს დაუწერა. ჩვენს გაზეთში სხვა რომ ვერა იპოვეს-რა და პირდაპირ სიტყვის შემობრუნება ვითომ არ იკადრეს, უმართებულობა შეგვწამეს და უმართებულოდ ისეთი სიტყვა მაიფეს, რომელიც ურმის ერთის ნაწილის სახელია და რომელიც სხვათა შორის დასახელებული აქვს თ. რაფ. ერისთავს ერთს თავის მშვენიერს ლექსში.

ჩვენ რომ „ნარკვევის“ ავტორის გზას დავადგეთ, უოველდე შეგვიძლიან ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ რომ „ივერიის“ არ ესმის გაზეთის მნიშვნელობა. აი თუნდა აიღეთ წარსული ოთხშაბათის (17^ბ) ნომერი „ივერიისა“ და მესამე გვერდზედ ფელტონის მეოთხე სვეტზედ ამოიკითხეთ შემდეგი ფრაზები: „არაფერს ამ კაცისას არ უდგებოდა“ „დიდს ნიკაპზე შუაში ჩაღრმავებული უჩანდა“ და გვითხარით საბუთი არა გვაქვს, თუ „ივერიის“ მონარკვევეს მივდიეთ, ჩვენც ტაკი-მასხარაობა დავიწყეთ და ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ „ივერიის“ გაზეთის მნიშვნელობა არ ესმის!

ნუ თუ ეს მაგალითი არ არის „ივერიის“ აზრების მართლა არე-დარევისა? ჩვენ კარგად გვესმის, რისთვის არის მონარკვევე ასე გაწიწვბულებული ჩვენის გაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ როცა კაცი ვისმეს წინააღმდეგობას უწევს, უნდა ცალ-პირი იარაღი მოიხმოს, და არა იმისთანა, რომელიც ერთს რომ სხვას დაჰკრავს, ორს თავის პატრონსა სცემს.



ბ. მეუნარგიამ ივერიაში დაბეჭდა ფელტონი „სავით“. (გადააბრუნეთ ეს სიტყვა და გამოვა „თივას“) ამ ფელტონში ავტორი გვიჩვენებს ენის გაუმაწვილებას, განახლებას და თავის დაწებებას „პეტრიწისა“ და გიორგი მთაწმინდელის ენასას“. ამითი არა თავდება ბ. მეუნარგიას რეფორმა და სიტყვების დასაწყისის გადაყვანასაც გვიჩვენებს და თავ-მოკვნილი ბოლოების წმარებას. ეს ფელტონი თითქმის იმავე ნომერ-

შის დაბეჭდილი, რომელშიაც ზემოდ მოყვანილი მეთაური წერილია. მოდით ახლა გაიგეთ რამე. მონარკვევს ვურჩევთ სარატოვის ღის-ტოკებს თავი დაანებოს და ეს გამოარკვიოს, რა ენით უნდა ვწეროთ ჩვენ საბრალოებმა და რა ენაზედ ვკითხოთ. თავში იმისთანა მოწინავე წერილი, რომელსაც ასში ათი თუ წაიკითხავს და ათში ორი გაიგებს და რომელზედაც ეტყობა რომ მის ავტორს მთელი ქვეყნის სიბრძნე „დიდის მოწინავეთა აქვს შენახული შიგნი შიგან დაკეტილს ტვინის უჯრებში“ (დალოცვილი! რა იქნება ხანდისხან მზეზე გამოჭეხილს ხოლო მე და ტენისაგან გამომპრალოს!) და ქვევით ბ. მეუნარგია (მეგრელი უნდა იყოს) სიტყვებსაც კი თავებსა პარავს და მხოლოდ ბოლოებს გვიტოვებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს ფელეტონი უფრო გააბოროტებს „ივერიის“ მეთაურის ტებს, თივის ბუღუღსავით ქარს მიაკვირნებს ფელეტონსაც და იმის დამწერის აზრებსაც და ჯობრზედ იმისთანა ენას ახმარებინებს ამას იქით, რომ თუ დღემდის ასში ათი ჰკითხულობდა, დღემდამ ასში მხოლოდ ერთმა იკითხოს.



რაკი „ივერიის“ მწერლებს ამის გავება არა ჰქონიათ, რა არის მართებული და რა არის უმართებული, ვურჩევთ გადაფურცლონ ერთი რუსული წიგნი „ქაღლებზედ“, რომელიც შარშან გამოვიდა და ამ ცოტას ხანში ხუთჯერ გამოვიცა და მე ვინ გვერდზედ ამოიკითხონ მეგრელი ქაღების ხასიათის ადწერა. გადაფურცლონ, მაგრამ მთელს წიგნს ნუ წაიკითხავენ, რადგან „შიგნი-შიგან დაკეტილ ტვინის უჯრებში“ შესანახ სიბრძნეს იქიდან ვერ ამოიკითხვენ. მაგრამ ეს წიგნი სხვაფერი არის დირს გასაცნობი: თუკმა მის ავტორს არ ეტყობა არც იმ საგნის ცოდნა, რომელზედაც დაპარაკობს, არც ნიჭი, არც სიბრძნე და გარყვნილი გრძნობის მეტს საზრდოს ვერას მისცემს, მაგრამ ეს წიგნი ხელი-ხელ სატარებლად გაუხდიათ და მის დამწერს კარგი სიმდიდრეც შეუქნია.

ნუ თუ ესეც ნიშანი არ არის გრძნობებისა და გემოს არევ-დარევისა?.

სომეხანი?

მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი

დავით ჰარრიკი.

ამ სათაურის ქვეშ ჩვენ გესურს ხშირად ეცნობროთ ჩვენს მკითხველებს გამოჩენილის კაცების ცხოვრებაზე, მათი ბიოგრაფიაზე. ცხოვრება და ცხოვრების თავგადასავალი ყოველის გამოჩენილის კაცისა ჩვენის აზრით არის სკოლა, სადაც „უბრალო მამაკედაინი“ ბევრს ისეთ რამეებს იპოვიან, რომელიც გამოადგებათ კერძო ცხოვრებაში, ბევრს ისეთ რამეებს ისწავლიან, რომელსაც სასარგებლოდ გამოიყენებენ კერძო ცხოვრებაში და საზოგადო საქმეშიაც. ამის გარდა გამოჩენილ კაცთა ბიოგრაფიები წასაკითხავად არასოდეს არ არიან ინტერესს მოკლებულნი და მაშასადამე სარგებლობასთან ერთად გასართობნიც არიან.

დავით ჰარრიკი იყო ერთი უდიდესი არტისტი-თავანი, (აქტიორი ანუ მსახიობი) რომლის მსგავსი სასცენო ხელოვნების ისტორიას არ ახსოვს. ჰარრიკი დაიბადა ინგლისში გირფორდში 20 თებერვალს 1716 წელსა. მამა მისი იმ დროს სამხედრო სამსახურში იყო და მალალი თანამდებობა ეკირა.

ბავშობიდანვე დავით ჰარრიკს დაეტყო ღიდი ნიქი და ლტოლვლება სასცენო ხელოვნებისადმი. ჯერ კიდევ 11 წლის არც კი იყო, როდესაც პატარა დავითი სცენაზედ გამოვიდა სცენის მოყვარეთაგან გამართულს წარმოდგენაზედ, ეს პიესა იყო „მსედრრობის თავის მოყრა“ რომელშიაც დავითი თამაშობდა პატარა სერჟანტის (მხედარი) როლს. ამ სრულებით უფერულ როლშიაც პატარა დავითმა ისეთი ნიქი გამოიჩინა, რომ მთელი ხალხი ალტაცებაში მოიყვანა. ზოგნი მაყურებელთანი პატარა დავითს მაშინათვე დიდს სახელს უქაღდენ სასცენო ასპარეზედ.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლომე, მამა მისმა არ შეიწყნარა შვილის სურვილი და ერთს სავექილო სასწავლებელში მისცა და პატარა დავითი ნება უნებლიედ 1727 წელს ლონდონში გაგზავნილიქმნა კანონების და იურიდიული ხრიკების შესასწავლებლად—მაგრამ გენიოსებს ბედი ხშირად სწყალობს ხოლომე: დავითს მალე მოუტედა მამა და ახალგაზდა ჰარრიკი თავისუფალი შეიქმნა 20000 მანეთით ჯიბეში, რომელიც მამამ დაუტოვა.

დავითმა სწავლას თავი დაანება და როგორც ინგლისელი კაცი, პრაქტიკული ცხოვრების შვილი, იგი შეუერთდა თავის უფროს ძმას ერთს რაღაც

კომერციულ საქმეში და ფულის შოვნას და გამდიდრებას შეუდგა. ასე დაჰყო რამდენიმე ხანი. მაგრამ შინაგანი , ლეთაბრივი ცეცხლი“ არ შრტებოდა ჰასანაგის გულში. ხშირად ესმოდა დაეთოს აქტიორების დიდება, მათი ცხოვრების თავგადასავალი, მათი ქეიფი, მათი დროს გატარება, ამასთანავე დაეთითი ხშირად დადიოდა თეატრებში და ყოველი წარმოდგენის შემდეგ სიყვირული სცენისადამი თან და თან უძლიერდებოდა. ხანდისხან ეახშმის დროს ამხანაგების შორის დაეთით ჰარრიკი წამოხტებოდა, ავიდოდა სტოლზე და აღტაცებით დაიწყებდა სხვა და სხვა მონაოლოლების კითხვას, ამასთანავე ისე აჯავრებდა ზოგიერთი მაშინდელ აქტიორებს, რომ ამხანაგებს ანციფრებდა თავისის საოცარის მიმბაძველობით და მიმსგავსეობით.

ასე მიდიოდა ჰარრიკის სიცოცხლე რამდენიმე ხანს, მაგრამ ბოლოს სძლია სურვილმა და გულის მიმზიდველობამ და გარდასწყეიტა თეატრში შესვლა. 1736 წელს ჰარრიკმა თავი დაანება ვაკრობას, ყოველივე ძმას გადასცა და გაემგზავრა პროვინციებში, რომ იქილამ დაეწყო ნელ-ნელა წარმატება, რადგან ინგლისის დედა ქალაქში, ლონდონში ეშინოდა თამაშობა, ვაი თუ როლი გავაფუქო და სახელი წაეხდინო.

პირველი მისი დებიუტი მოხდა მისის თვეს 1841 წელსა ქალაქს იპსვიში, სადაც დაეთით ჰარრიკმა შეასრულა აბიონოს როლი ოთხ მოქმედებიანი ტრადედიაში „ორენოკოში“. ჰარრიკმა სახელი გამოიცვალა და აფიშებში ეწერა რომ აბიონოს როლის შესარულებს დ. ლიდელიო. ვერ წარმოიდგენთ რა ნაირად, რა ნაირის ძლიერებით და ხელოვნებით შეასრულა ახალგაზდა არტისტმა თავასი როლი! ხალხის აღტაცებას სამზღვარი არა ჰტონდა. ამის შემდეგ დაეთით ჰარრიკი გამოვიდა ოტევის ტრაგედიაში: „ობოლში“. ამ პიესაში იმან ისეთი სახელი გაითქვა, რომ მთელი ქალაქი ააყაყანა.

ჰარრიკის სახელი დღე დღეზედ იზრდებოდა. ყველა ეტანებოდა იმ წარმოდგენას, რომელშიაც დაეთითი თამაშობდა, ასე რომ ბოლოს არტისტმა გაბედა ლონდონში წასვლა სადებიუტოთ.

1741 წელს 19 ნოემბერს დაეთით ჰარრიკი ჩამოვიდა ლონდონში და პირველი დებიუტი გამართა გულს-მენჭელდის თეატრში, სადაც შეასრულა რიჩარდი მესამის როლი უკედავი შექსპირის ტრადედიაში „რისანდი III“ ზედ-მოქმედება, რომელიც მოახდინა ჰარრიკმა ამ როლში წარმოუდგენელი იყო, იმ დღემდე ინგლისელებს არაფერი ენახათ ჰარრიკისთანა.

არტისტის სახელმა ერთს წუთს მოჰფინა მთელი ლონდონი და მერე მთელი ინგლისიც.

ჰოველ დღე იმართებოდა გულსმენჭელდის თეატრში წარმოდგენა, და ყოველთვინ უფრო ჰმატულობდა უფრო ორკეცდებოდა ჰარრიკის სახელი და წარმატება. ჰარრიკის თანამედროვე რეცენზეტების სიტყვებით ბილეთების სასყაღლათ ხალხი დილა აღრიანად ეტანებოდა თეატრში და საღამოს ბევრის ვაივავლახის შემდეგ ძლივსღა ეღირსებოდნენ ბილეთს და მრავალი კიდევ ისე უბილეთოდ რჩებოდნენ, მარტო ეტლები თურმე სამი ვერსტის სიგრძეზედ იყენენ გაქიმულნი—იმდენი მოსურნე იყო თურმე ჰარრიკის სანავად რიჩარდის როლში. მაშინდელმა გამაღწენილმა მხატვარმა გოგარტმა დიდი სურათი დახატა, სადაც რიჩარდი III—ჰარრიკი ჰყვირის: „ცენი მომეცით, ცენი! ნახევარი სახელმწიფო ერთი ცენისათვის!“ და ეს სურათი ეხლაც არის ლონდონის მუზეუმში და მაყურებელს აკვირებს თავისის სინამდვილით, თავისის სიცოცხლით... ამ როლის შემდეგ დაეთით ჰარრიკს ეტანებოდნენ, გვირგვინოხანი, თავდანი ვაკარნი და გლენი, ყველა მისი თავყვანის მცემელი იყო...

ჰარრიკმა თავი იჩინა აგრეთვე როგორც დრამატურლმა, იმ დროს დიდს შთაბეჭდილებას ახდენდენ ორი მისი პიესები: „ცრუ — მსახური“ და „ესოში მკვდათ სამეხოში“. 1745 წ. ჰარრიკმა დაიწყო მოგზაურობა. ამ ხანებში იგი თამაშობდა დუბლინიში, სადაც საოცარად შეასრულა და თითქმის ახლად დაჰბადა მეფე ლიარის როლი, ჩამოვიდა თუ არა დუბლინიდამ ლონდონში მაშინათვე დრიულელინის თეატრში მიიწვიეს, სადაც დარჩა კიდევ თავის უკანასკნელის წამამდინ. ამ თეატრში დაეთით ჰარრიკი უფრო ფხიზლათ შეუდგა თავის მოვალეობას და საოცარის მეცადინეობით და ნიკით ასრულებდა ერთი მერეზედ უკეთესად ბექსპირის როლებს. ყველაზედ უკეთესად ჰარრიკი ასრულებდა მაგბეტის როლს, ეს როლი სწორედ საჰარრიკო იყო და მართლაც ისე ვერენ თამაშობდა მის წინეთ და ვერც შემდეგაც უთამაშნიათ ჰარრიკისაეთ. შეუდარებელი იყო აგრეთვე ბენედიქტის როლში შექსპირის კომედიაში: „დიდი მსაურობა უბრალო საგანზედ“. ამ თამაშობის დროს ჰარრიკი წერას არ ივიწყებდა და 1745 წელს დასწერა ფრიად საინტერესო პიესა „მატარძალი“, რომელსაც ძრიელ დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაზედ.

1749 წელს ჰარრიკმა ცოლად შეირთო ერთი ბალღერინა ვიოლეტა და ამის შემდეგ კიდევ დანი-

შნულიქმნა ღრუღელინის თეატრის დირექტორად, ეს მაშინ დიდი თანამდებობა იყო.

ღანარჩენი მისი სიცოცხლე წარმოადგენს განუწყვეტლივ შრომას და სახელის განთქმას, თითქმის ხუთი წელიწადის განმავლობაში ჰარრიკი ყოველ ღამე თამაშობდა სხვა და სხვა როლებს. ჰარრიკს სჭირდა ერთი უცნაური ხასიათი: ეგ იყო პიესის გადაკეთება თავის გემოვნებაზედ. ამ შემთხვევაში მას არ შეაფერხებდა არც ერთი კაცის ავტორიტეტი. თვით უკვდავი და გენისთა გენისი დრამატურლი ვილიამ შექსპირი არ გადარჩენილა ჰარრიკის კრეჭა-პარცვას.

1763 წელს ჰარრიკი გაემგზავრა ევროპაში საგასტროლოდ და ამ მოგზაურობამ ხელახალ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ნიქის და გონისსობის პატივიცემა ყოველს აქვს, აქტიორი იქნება იგი თუ მწერელი ერთი თუ ბერი. ყველა ევროპის გამოჩენილი ქალაქები ჰარრიკს აღტაცებით მიეგებოდნენ, თითქო ხელმწიფე ყოფილიყოსო.

ჩამოვიდა თუ არა მოგზაურობიდან ჰარრიკმა სტრატფორდში გამართა სახალხო დღეობა უკვდავი შექსპირის სახსოვრად. ეს წარმოდგენა ისეთის ცოდნით და გემოვნებით იყო გამართული, რომ მთელი მაშინდელი ევროპა აალაპარაკა; ამასთანავე ამ დღეობის გამართვა სრულიად ჰარრიკის მიხედვითობას ეკუთნოდა.

ამის შემდეგ დავით ჰარრიკი დრო გამოშვებით კიდევ თამაშობდა სხვა და სხვა თეატრებში, მაგრამ ბოლოს მოიქანცა და აეად მყოფობა დაიწყო, ასე რომ 1775 ჩელს ჰარრიკმა გამოაცხადა, რომ სცენას თავი უნდა დაენებოყო, მაგრამ ხალხმა არ შეიწყნარა არტისტის სურვიელი და ჰარრიკი იძულებული იქმნა კიდევ ერთის წლის განმავლობაში დარჩენილიყო სცენაზედ, ხოლო 1776 წელს ჰარრიკი სრულეობით გამოეთხოვა სცენას. იმ საღამოს თამაშობდნენ პიესას „სასწაულს“ და გათავდა თუ არა წარმოდგენა ჰარრიკმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც მთელი თეატრი ერთი კაცისავეთ აატირა. — გამოთხოვება სწორედ გამოუთქმელი იყო. ტირილი, ყვირილი, აღტაცებით ტაშის ცემა, ხეწნა და სხვა მრავალი გრძნობა ერთად იყო არეული. ასე დაათავა გამოჩენილ არტისტმა თავისი სახელოვანი მოღვაწეობა სამშობლო სცენაზედ.

ამის შემდეგ ჰარრიკი გადავიდა თავის მამულში, მაგრამ შეუბრალეებლმა სიკვდილმა მალე მოულო ბოლო. 1779 წელს 20 იანვარს დილის 10 საათზედ გარდაიცვალა ინგლისის დიდება. დავით ჰარრიკი დამარხეს მისი სურვილისამებრ ვესტმინსტერის ეკლესიაში შექსპირის გვერდით.

სიაში შექსპირის გვერდით. მთელი ინგლისის დიდკაცობა და არისტოკრატია დაესწრო ჰარრიკის დამარხვას, მთელი ლონდონის მცხოვრები და სხვა ქალაქების დეპუტატები მიაცილებდნენ არტისტის კუბოს. ათი მინისტრები შავში მოსილნი სახელმწიფოსაგან იყენენ დანიშნულნი. ასე პატივის ცემით დამარხეს ინგლისელებმა თავისი არტისტი, რომელიც მან წლის განმავლობაში ატკობდა მათ ესტეტიურს გემოვნებას და ღირსიც იყო ჰარრიკი ასეთის პატივისცემისა. ჰარრიკი გარდაიცვალა 63 წლისა.

დავით ჰარრიკის სახელი ეხლაც ცხოველინგლისში და ყველა განათლებულ ევროპულ სცენებზედაც. მისი სახელი არასოდეს არ მოკვდება სასცენო ხელოვნების ისტორიაში. ჰარრიკის ნიჭი შეიძლება ასე გამოიხატოს: იგი იყო ჯადო-ქარი, რომელიც თავის სულიერის ძალით, ცოდნით და ღეთაებრივის ცეცხლით მთლათ იტაცებდა მაყურებელსა, გადაუვდა იგი ამ ქვეყნიდან სხვა, უცხო ხელოვნების სამყაროში, ათას წაირად აქლერებდა ადამიანის გულის სიმებს; ჰარრიკს დიდს ნიჭთან დიდი ქკუა და განვითარებაც ჰქონდა. როგორც კერძო, აგრეთვე საზოგადო ცხოვრებაში და დამოკიდებულებაში ჰარრიკი შეუდარებელი რამ იყო. რბილი და ჩივილი გულის პატრონი, პატიოსანი, ყოველთვის დამხმარებელი გაჭირვებულისა, იგი იზიდავდა ყველას ყურადღებას და სიყვარულს. ჰარრიკმა თეატრის და აქტიორის მნიშვნელობა იმ ხარისხამდე აიყვანა თავის სამშობლოსი, რომ ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა ასეთი ფრაზა წარმოსთქვა ერთხელ კრებაში: „ჩვენში, ინგლისში მხოლოდ ოთხს წყობილებას აქვს ძალა და მნიშვნელობა, ეს არის; მეფე, პალატა ლორდებისა, საზოგადო პალატა და ღრუღელინის თეატრი თავისის არტისტებითო!!!“

ასე ცხოვრებდა, მოღვაწეობდა და მოკვდა გამოჩენილი არტისტი ტრალიკოსი დავით ჰარრიკი, რომელმაც თავის სახელთან ერთად ასახელა სამშობლო სცენაც!

თეატრის კვირა ხელოვნური პოეზია

მესტვირეს

ხეტაჲ შენ, ჩემო მესტვირე,
 დარდი არა გაჭეს არაფრის,
 ამასთან არ სარ მეძვირე

არც ცის, არც კაცის,—მოთა-ბარის!
 დადისარ კარის-კარ მარად,
 დაგაჭეს ქამანსა და სტვირი,
 აუსა და კარგსა ერთ გარდა
 აჭებ, ადიდებ, შეჭყუირო...

კარგი გიჭმნია—ღმერთს ვფიცავ —
 რომ დავგიშაქრავს ეგ ენა:
 ვეელგან გათბები, ჩაიცივამ,
 ვეელგან გეჭმნება მოლხენა.

ვეელგან მოიმივი წყალობას
 და „ყოჩაღ!“; „ბარაჭელასა!“
 ვეელგან უდიდებს გალობას
 შენს გაიძვერა ეანასა.

სიძარბოე არსად წაგტდება—
 გერსად მოგნასავს შენ მტრობა,
 არც სსვასებრ კეტი მოგვსვდება—

ვეელგან დავსვდება მოყვრობა!
 შეგისწავლია ცხოვრება
 თანამედროე ხალხისა
 მისი ქამანდი,—ხმარება

ძირმწარის ნაცვლად თაფლისა...
 ჭო! ეგრე, ჩემო მესტვირე
 ქამანსა, სტვირი დაჭკარი,
 ჭებით, დიდებით გაგმირე,
 ჭებისთვის უკვე მომკვდარი!...

კარგი გიჭმნია—ღმერთს ვფიცავ —
 რომ დავგიშაქრავს ეგ ენა:
 ვეელგან გათბები, ჩაიცივამ,
 ვეელგან გეჭმნება მოლხენა!...

გ. თორელი.

მუნთადი სოფელი

თუმც გული კენესის, ჩაგრდება,
 მთის უინულეთი დნება,

მავრამ ვერ ვერას დამავლებ
 მუნთადი სოფლის გნება.

რა ძალიც გინდა იხმარო
 და შემისუთო სულია,
 მაინც მომელის შემდეგში
 კიკლუცი გასაფხულია!

ზაყელი

ჩემს იდეალს

შენ მიზასუსე, ჩემო სატროფოკ,
 ჩემო იმელო,
 შენ ჩემო გომნობის დამამტვარო
 და ჩემო ბედო!

შენით მომეტა მეკადანს გონება
 განცხოველება,—
 შენით სძვერს გული და ეძვერს
 სიამოვნება.

შენ აწადმართებ ჩემს სიცოცხლეს
 მწარეს უგემურს,
 შენ აცოცხლებ ჩემს არსებას
 ბედგურულს, უბედურს...

თუ მოტყუებულს ტყვიას იმედს
 კემოწილები
 და უბედური თვალ-ახვევით
 შენ გემოწიბი.

გვლავ მომეკლინე
 ჩემო მნათობო
 რომ შენი სხივი მე მინათებდეს
 გზას ცხოვრებისს?

დამიტვობო გულსა დამიამებ
 დაკოდელს წყლულებს
 და აღმისრულებს აწ დაგარტულს
 ჩემსა სურვილებს?

მამ ისეუ-ისე ჩემს არსებას
 გიმსვერძლებ, გწირავ!
 მანამ ცოცხალვარ თაყვანსა გტემ
 და არ განგწირავ!

ენ. ნინო ორბელიანისა.

„ივერიის“ ნარკვევის გამოკვევა.

ზაზ. „ივერიაში“ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ არის ერთ გვარი განყოფილება სახელდობრ ნარკვევი. საზოგადოთ ყოველი ნარკვევი და გამოკვეული რამე ვარგი რამ არის, თუ ნარკვევი იგი მართლა ნარკვევსა ჰგავს თა არა აშლილ-დაშლილს, დომხალივით არეულ-დარეულს უკბილოდ ნაცოხნსა... „ივერიის“ ნარკვევი კი ამით ვერ დაიკვევებს. ყოველისთვის რომ თავი დაეხებოთ, მაინც ის გარემოება რომ ხსენებული ნარკვევი ასოდან ასოდმდე, სიტყვიდან სიტყვამდე ითარგმნება, ან მდაბიურად რომ ესთქვით უწყალოდ ითვისება ორ-სამ რუსულ გაზეთებთან—თუმცა ყოველდღე შეხედებით ისეთს გაზეთების სახელს, რომლებსაც არამც თუ „ივერიის“ რედაქცია, არამედ თბილ-ქალაქის ჰაერიც არ უნახავთ და მასხადაძე „ივერიის“ რედაქცია მოკლებულია იმ გაზეთებთან ცნობების ამოკრევის საშეალობას, ესე იგი, ნარკვევის შედგენას—და საკუთარ მსჯელობის და გამოკვევის ნიმუშად ისაღება მკითხველ საზოგადოებაში არა გვერდია საქებარი და საპატივებელი საქციელი იყოს. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ იმით ნარკვევი ვერაფერ ვერ მოაქუყვებს—შესაძლებელია ესეც ევატიოს ნარკვევს, მაგრამ ის როგორ-ღა ევატიება რომ ხეირიანი უხეიროსაგან, სასარგებლო უსარგებლოსაგან ვერ გაურჩევია მგას თუ ბ-ნი გამოკვევილი ნარკვევის ავტორის სურვილიც იქნება ჩვენ ნათლათ დავანახებთ მგას ეს არის ნარკვევის მოკლე ბიოგრაფია.

აი ამ ნარკვევა ამ დღეებში ჩვენს გაზეთს უძღვნა პატარა გამოკვევილი ნარკვევი, ხოლო თარგმნილი კი არა, არამედ საკუთარი, ორგინალური (ეს პირველი მაგალითია მის შემდეგ რაც „ივერიაში“ ნარკვევი დაიბადა) და უნდა გამოვტყდეთ რომ ის პირველი ცდა თვით მსჯელობისა, თვით გამოკვევისა. მეტად საკუთარია, მეტად პიროვნულ ორიგინალურია, ბ-ნი გამოკვევილი ნარკვევის ავტორმა ჩვენ უხნეობა დაგვწამა, თუმცა თან ზედ თავისი ურცობაც გადაქიმა... ჩვენს გაზეთში კვირიდან კვირამდეა-ში სხვათა შორის ცხენის რკინის გზის შესახებ ასე იყო ნათქვამი: „კონკები, ან როგორც კინტოები ეძახიან კონკილები“ თავისას მაინც არ იშლიან“ და სხვა... ეს სიტყვები ბ-ნს ნარკვევის ავტორს ლახვარსავით გულს მოხვედრია, მთლათ სილრმე-სიგრძე-სიგანაზე აუშლერეცია მისი უმანკოვებით საცეს, უბიწო სული და გული, მისი მორცობის გრძობისათვის წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიუ-

ყენება!!! რა ნახეთ ბ-ნო გამოკვევილი ნარკვევის ავტორი საჩოთირო და საბოდიშო ამ სიტყვაში? რა იპოვეთ აქ ზნეობის და მორცობის წინააღმდეგ? ეს თვითონ ბ-ნს ნარკვევის ავტორს უკუ ეცოდინება; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით და დარწმუნებულიც ვართ, რომ კაცმა რაც გინდა სიტყვა იხმაროს, რაკი სიტყვას ვაგვიძიებთ, ყოველთვის შეიძლება იმ სიტყვას ორ-აზროვანი მნიშვნელობა მიეცეს, საჩოთირო შეიქმნეს,—ეს სრულიად დამოკიდებულია მკითხველ-გამგონზე, მის ტემპერამენტზე, მის ხასიათზე, მის ზნეობრივ სარჩულზე, მის ჭკუის სიცილქეზე. სიტყვა კონკილა ნიშნავს ურმის იარაღს და არა იმას რაც წარმოუდგენია ბ-ნი ნარკვევის ავტორს, მის ცელქურს ფანტაზიას, მის ზნეობრივ ვინაობას... ასე რომ სიტყვების ვაგვიძიებს მივყევთ, მაშინ ხომ არც ლაპარაკიც და არც წერაც შეიძლება! სიტყვები; შვიდა, შამოვიდა, მიგებჯინა, მიაწვა, მოაწვა ვააქვს-გამოაქვს, ვაქან-გამოაქანება და სხვა-დასხვა უთუოთ აკრძალულნი უნდა იყვნენ ბ-ნის ნარკვევის ავტორის ცელქურის ლოლიკით. ვაი ჩვენი ბრალი; მაშინ მარტო ნარკვევი-ღა დაგვრჩებოდა სახმარებლად! აქ უნებურად მოგვაგონდა ერთი შემთხვევა, რომელსაც ერთხელ დავესწარი. ერთს ლანაზს ინსტიტუტკას უთხრეს: მე ყოველთვის მესამის ხოლმე თქვენი ენაო. უნდა გენახათ საცოდავი ინსტიტუტკა, კოკებამდინ სირცხვილის აღმურით დაიწყო და ვგონებთ ავადაც შეიქმნა და ლოგინად დაწვა იმ საზარელი სიტყვის შემდეგ. რა ნახა ინსტიტუტკამ ამ ფრაზაში თუ სიტყვაში საჩოთირო, მორცობის წინააღმდეგ? ამას მხოლოდ ინსტიტუტკა და მისი ცელქი ამხანაგი ბ-ნი ნარკვევის ავტორი გვეტყვის. ჩვენ გულ-წრფელად ვურჩევთ ბ-ნს ნარკვევის ავტორს, შეადგინოს ახალი ლექსიკონი, რომელშიაც მისგან პატიოსან სახმარებლად ცნობილი სიტყვები მოთავსდებიან (დიდი ლექსიკონი კი გამოვა) და გმირულად დაიხსნიან ჩვენს საზოგადოებას გარყენილობისაგან და თუ მაინც და მაინც ჩვენ გაუფუჭებულებს არას გვიშლიან, მომავალ შთამამავლობას მაინც გაწურთენიან და შთაუწერგამენ გულში გრძნობას მორცობისას!...

«ნესტორაქსიკონი»-ები! დიდი მახვილობაო, მახვილობს ბ-ნი ნარკვევის ავტორი და თანაც გაცეხითი ნიშნავს ასევე, იქნება სიმახვილეს ძალა მოემატოსო. ვინ მოგახსენათ, რომ ჩვენ ამ სიტყვით მახვილობას ვაპირებდით? ეს მახვილობა კი არ იყო, არამედ წუხილი, რომ ჩვენში ყოველისთვის უშვერს საქციელს ნესტორაქსიკონი-ებით ამართლებენ და

ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც რით სჯობია თქვენი მახვილობა, მაგალითად:

« და აი ამ გაღის მფარველობის ქვეშ დაიწყეს ნაზარდობა ვიღაც «რეზონიორება», «მათიკობმა» და სხვებმა... »

— რას ნიშნავს ბ-ნო ნარკვევის ავტოროს ეს სიტყვა ვადაც? ესე იგი ყოველს გამველვლ-გამომველვლს, განა? ან იქნება ისეთს ვისმეს, რომელსაც არა აქვს ბედნიერება თქვენის ცნობისა? ეს სადაური მსჯელობაა, სადაური მახვილობაა? ასე რომ ყოველს ახლად გამოსულს საზოგადო ასპარებზედ ვიღაც დაეუძახოთ, მაშინ ხომ ქრისტე ღმერთიც ვიღაც გამოვიდოდა თქვენს აზრით? არ შეიძლება გკადროთ, თქვენ ვინღა ბრძანდებით ბ-ნო გამოურკვეველი ნარკვევის ავტოროს? გენერალ-ლეიტენანტი თუ კიდევ ბოკლის მემკვიდრე, სოკრათი ან მრისხანე ზევისი? ვერაფერი მახვილობაა თქვენმა შვემ!

ბ-ნი ნარკვევის ავტოროს, თქვენ ჩვენის გაზეთი-დამ მთლად ვადმოგებუქდავთ «კინტაური ლექსი» (რად იწუხებდით თავს, განა ორი კუპლეტი საკმარისი არ იყო «ავლაბრული პოეზიის» ნიმუშად?) და რაღაც ბრძნულის კილოთ, სასაცილო ავტოროტიტო ბრძანებთ:

« რა ვსოქვათ იმ გაზეთზე, სადაც ამისთანა ავლაბრული ლექსები იბეჭდება? სხვა რა ამის მეტი რომ ბ-ნს რედაქტორს და მის თანამშრომლებს კარგათ სცოდნიათ გაზეთის მნიშვნელობა! »

მართალია ბ-ნო ნარკვევის ავტოროს, თქვენ სხვა ამის მეტი ველარაფერი გეთქმისთ, რადგან სხვა რამე თქმისათვის საჭიროა ის რაც თქვენ, ჩვენდა სამწუხაროდ და თქვენდა საუბედუროდ, ბლომად გაკლიათ!... რაც ლექს შეგება, ჩვენ აი რას მოგახსენებთ. «კინტაური ლექსი» ჩვენ არ დაგვიბეჭდავს იმ განყოფილებაში, რომელსაც ეუწოდეთ სელოკონური პოეზიის და რომელშიაც მხოლოდ ნამდვილს პოეტურს ლექსებს ვბეჭდვთ, მაშასადამე ჩვენ ეს ლექსი არ მიგაჩნდა და არც მიგაჩნია პოეზიის ნიმუშად—ეს ვგონებთ, ადვილი გასაგები იყო, რომ მოგნდომებოდათ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ არ შონდომეთ და უსაფუძვლოთ ცილი შესწამეთ ჩვენს ცოდნას გაზეთის მნიშვნელობაზე. ჩვენ კინტაური ლექსი დაგებუდეთ კერძოთ, ყველა სტატიების დასასრულში, როგორც სცენაზედ წასაკითხავი და დანიშნულებას ასეთი ჰქონდა, როგორც გასართობი რამე, მაგრამ თქვენ მაინც არ იკმარეთ ცელქობა და ღრეკიობას მიჰყევით... რით უნდა აიხსნას თქვენი ამ გვარი ოინბაზობა, თუ არ იმით, რომ საღდაც და როდესღაც რაღაც გტყენიათ...

მაგრამ გარწმუნებთ რომ თქვენი უსაფუძვლო ბრაზები და ჯაერის ჰყრა სრულიად კბილს მოკლებულია (თუმცა ბევრი გილესნიათ) და ამით უფრო შესაბრალისად გხდით თქვენც და თქვენს გამოურკვეველი ნარკვევსა.

წარმოვიდგინოთ (თუმცა წარმოუდგენელია) რომ ჩვენ «კინტაურს ლექს» იმ მნიშვნელობას ვაძლევთ, რასაც თვენ ბ-ნო ნარკვევის ავტოროს, ძალად გვაძლევინებთ და დაქინებით თავზე გვახვევთ. მერე რა ნახეთ თქვენ ამ ლექსში «ავლაბრული!» ის ხომ არა, რომ ლექსი კინტაურის, ავლაბრულის თუ შეითან ბაზრულის კილოზეა დაწერილი? მაშ თქვენის აზრით ესეც «ავლაბრული ლექსი» უნდა იყვეს.

რას ინებებ რომ მე არ აგისრულებ, რა საქმე სთქვა, რომ არ გაჭრას მაჯამა? ცუცუნი ჯან, რამდენ დღეს ვიპარხვლებ, თუ რომ ერთი შენი ტუჩი მაჭამა!

ან ვიღვე: «კვარას ვლოთობ შენ რას გიშლი ძმობილო, ლოთობაში აბა რა ნახე ცუდი?»

ან ვიღვე: მე ქრისტე ღმერთს კინტოდ გაუჩინვარ, ლოთობა ჩვენი წესი, ადათი, მითომ რაო, შენისთანა ვაჟები ბიჭობაში არ შეუოთის არც ათი!

ან ვიღვე: ოჰ, გაუწუდეს მდიდარ ტუნწებს ქოქი... ...მე რომ მოკვდე გვედარებით, ძმებო ჯან, დამახალეთ ზედ სავსე დოქი!..

თქვენის ცელქურის ლოლიკით ეს ლექსები შეადგენენ «ავლაბრულ პოეზიას», აგრეა განა? მაგრამ საკიერველი ის არის, რომ ამის დამწერიც და დამბეჭდავიც არც ვადაც მათიკობა და არც გაზეთი «თეატრი» არამედ ეკუთვნის ჩვენი ნიქიერი მწერლის ავ. ცაგარელის კალამს და დაბეჭდილი იყო ღინჯი და დარბაისელი ყურნალ «ივერიაში» და ჩარც ლექსი, არც ავტორი და არ ყურნალი «ავლაბრულად» არ იყენენ ცნობი ღნი. ან იქნება ცელქი ლოლიკა თხოულობს, რომ ერთი და იგივე საქციელი «ივერიას» ვაბტიოს და პირ-იქეთაც ღირსებათ ჩაეთეალოს, «თეატრი» კი ჩაქოლილ იქმნას? რა არის მიზეზი ამ ათვალ-წუნებისა? ამის პასუხს თქვენი გამოურკვეველი ნარკვევი თუ მოგვეცემს, თორემ სხვა არავინ! აი კიდევ ლექსი მაგ კილოზედ;

ტუოი ტუჭლი მადენკია
ზღეს ნა სერცე სპრიაჩით ზუდუ,
ნიკუო ვიდიოზ, ნიკუო სლიოშტ
გაგ ია ის ცაღავაჟუ ზუდუ!
ღუბიჟუ სოჩიშ ია ზღეს სტაიუ

ზაჩემ დრუგოი ნეშა ვა—ვა!
ტუდი სუდი ზაჩემ სმოტრიშ,
კომე იდოშ, ნეშა ვა—ვა!

ამასაც აელაბრულ ლექსა ჩასთელით, მაგრამ ნეტა რას ეტყეით თავ. გრიგოლ ორბელიანის აჩრდილს?!

თქვენ ამოგილიათ ერთი სიტყვა და ლექსი ჩვენის გაზეთილამ (ისიც უხეიროდ—ალბათ მტკივნელობას თვალი აუხევიათ თქვენთვის და ლოლიკისათვის ქსელი და ბადე გადაუფარებია) და ამ ერთის სიტყვის მიხედვით თქვენ აზრს არდგენთ ჩვენს-გაზეთის მნიშვნელობის უცოდინარეებზე და თვით გაზეთსაც ავლაბრული ორგანათ სთელით.—არ შეიძლება გკითხოთ ეს თქვენი დასკვნა რომელ ეროვნების შეხედულობას შეადგენს? ასეთი ღრეჭიაობა რომელ ლიტერატურულ წესს ეკუთნის, ასეთი ცელქი ლოლიკა რომელ კრიტიკულ ჰკუსს შეეფერება? ამის პასუხს რა თქმა უნდა, ისევე თქვენი გამოურკვეველი ნარკვევი მოკვეცვს.

არა, რუ მართალა უთუოდ ვსურდათ ჩვენი გატუქავა, რატომ მაშინ არ დავტუქავთ, როდესაც გარემოება ხელს გიწყობდათ, ესე იგი, როდესაც ჩვენ «ივერიას» შევწამეთ «ნოევი ვრემილამ» მეთაურის წერილის ასოდან ა.ომღე გადმობეჭდვა? რატომ მაშინ არ აგვიგდეთ მასხარად, რატომ მაშინ არ გვიწოდეთ «ავლაბრულობა»?—ან იქნება მაშინ თქვენმა გულ-მლობიერებამ გვაპატია?!... ესეც, რა თქმა უნდა თქვენს ცელქურს ლოლიკას უნდა მიეწეროს.

საზოგდოთ ყოველი შენიშვნა, თუ შენიშვნა იგი გულ-წრფელია და მართებული, ყოველთვის სასურველია და ჩვენგანით მარად პატივცემულიც არის ხოლმე, მაგრამ როდესაც შენიშვნას საწყით პირადობა აქვს, ნიადავად ცელქი ლოლიკა, საგნად ოინბაზობა, თავზედ ქუდათ ჰხურავს ღრეჭიაობა, ფეხთ აცვია ცუნტრუკაობა და ხელთ უპყრია ტაკი-მასხრული ეყვანებით შემკული ჩოგანი და როდესაც ყოველი ამათგანი თვითუფლად და ყველანი ერთად ატორიკდებიან, მაშინ, ნურას უკაცრავათ, ჩვენ ასეთს შენიშვნას ყურადღებას არ ვაქცევთ და თუ საჭიროება მოითხოვს ვკიცხავთ კიდევ.—

ხალხური პოეზია

დაღოცილი ქრისტე ღმერთი,
ქეესიურად იარება,
სელში სსსწორი უჭირავს:
ცოდვა, მადლი იწონება
და ვინც სიმათლეს არ მისდევს
საიქიოს დასწინდება!

თუ კაცი ვარჯა ჯიდავი
ნეტა რა საძებარია?
თუ თვით არ ვარჯა სუეველს
ფუჭი დასწინდარია.

(შეკრებილი სოსიკოსაგან)

მე ქართლშია რა მიჭირდა,—
მთვარე იდგა მსესავითა,
გალმასი და ქერის ჰური
წინ მეყარა ბსესავითა.

მეკურის სეში ბური შემა,—
ასლ სოფელში კირიო
ბიჭებო ბანი გვითსართი,
ეველამ დაღეთ ზირიო.

(შეკრებილი რ. მირზანელისაგან)

ქალო მესმის ქება შენი,
უცხო თემსა მიამბესა,—
სანსაგად გადმოვიქვრ,
მავრამ ჯაჭვით დამბესა;
არ მალრისეს ნახვა შენი,
ეველგნით მსხე დამიგესა,
თვალსა ჩემსა ნახვა შენი
ვაი თუ დაუგვანდეს!..

(შეკრებილი ჭაბუთელისაგან)

(გაგონილი იმერეთში)
მიმინო მეკანდა, მიეუარდა...
ჭააარანო, ჭააარანო, ჭააარანო,
ჭარუ ნანო!

[ვ. გუგია]
თ. შ.

მუჰანა გამუჰარა...
 ჰაანანო და სსჯანო
 ქუთაისს ქედსა შამოკდა...
 ჰაანანო და სსჯანო
 ეჟანის შეჟდრიალა...
 ჰაანანო და სსჯანო.

(გაგონილი მცხეთაში.)

ღუშმანსა გამოჟნადღოს უძროსი განადღუა,
 სოფელში დაესეტება, როგორც გამუჰანი ღუღა,
 ვჟარედინ გზაზე სსუნაჟდა ნეჟიან გამოჟლიდა,
 ჟაღაბი ფესზედ ხაჭკაიებს; თუ თითონ გაბრინჟუღა?

(გაგონილი ქართლში)

ქაღო რას ტირი, რას ტირი?
 რას დაგითსრა თჟაღები?
 ამადამ ჰემთან წამოდი,
 გაღმოიარე ბანები.

(იმვე)

ჰანასკენთელა ვიუტო. მტერთაგან მოუქრეჟელო,
 ხორასანს რაზე გამჟსაჟე, შე ჟაჟას დასაქნეჟელო!

(შეგრებილი თავ. რიფ. ერისთავისაგან)

თეატრი და მუსიკა

ჩვენ შევითყეთ ნამღვილის წყაროებიდან, რომ ქართულს დრამატიულს კომიტეტს უკვე შეუდგენია დასის კომპლექტი; დასში მოწვეულ-იქმნებიან. მ. მ. საჟაროვი-აბაშიძისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მ. მძინაროვის ქალი, ე. გ. მელიქოვი-საჟაროვისა, და კიდევ ორი ახალი არტისტი-ქალები, რომლებსაც დებიუტი ექნებათ დანიშნული. არტისტები იქნებიან: ე. ა. აბაშიძე კ. დ. ყიფიანი, ე. ს. ალექსეე-მესხივე, დ. მ. აწყურელი. ე. მ. გამრეკელი. კ. მ. მძინაროვი. ვასტროლოჟე: ე. ს. მესხის ქალი კ. ს. მესხი: რეჟერტუარიც თურმე შედგენილია. სხვათა შორის ორი ახალი პიესა იქნება ა. ცაგარლის თ. ავ. რ. ერისთავისა და კნიაჟინა ა. მთუმანოვისა თვითო პიესა; სულ ახალი პიესები 10—15 იქნებაო. უპირატესობა მიეცემა ორგინალურს პიესებს. დასის მმართველი

და რეჟისიორად იქნება თეადი ე. მ. თუმანიშვილი. როგორც ეტყობა ჩვენი ქართული დასის და თეატრის საქმე მომავალ სეზონიდან ფეხზედ წამოდგება და წარმართების გზას დაადგება. ჩვენის მხრით ეისურვებთ რომ ასე ენერგიულად და ბეჯითად დაწყებული საქმე საქებურად და სასახელოდ დაამთავროს ჩვენმა დრამ. კომიტეტმა. ამასთან ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავიც, ჩვენი ბანკის თეატრს ამ კვირაში გადაკეთებას და სასცენო ექსესურების გაუმჯობესობას შეუდგება ბანკის მმართველობა.—

მ მო თ ს რ მ გ ა ნ ი

ბეჟმარი გუზღა

(პესსარაბიული ლეგენდა)

იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად დამშვიდებული მდინარის პრუტის ლულუნი, უეცრად განრისხებულის და საზაროდ მჩქეფარის მიმდინარეობად იცელება, რომელიც ახმაურებს მთელს არამარეს, თითქოს აფთხობს დაგვიანებულ მგზავრსო,—იქ, ვრცლად გაშლილ მინდორზედ, თითქოს დაობლებულაო, ატყზულია მარტოდ მარტო ერთი გორა, რომლის ძირი ირგვლივ ხუთს ვერსტს შეადგენს. ამ გორას რიგ-რიგად ზევიდან მოყოლებულ ხრამები და ოღრო-ჩოღროები აქრელებენ, ახოვან ხის მაგიერ ბუჩქები და ბუჩქნარები, უიმისოდაც კლიდან გორას, გამოუსადეგად ხდის ყოველ გვარის მეურნეობისათვის. არაფერი არ ამტკიცებს აქ ადამიანის არსებობას, ხოლო, თუ დააკვირდება კაცი, ერთის ხრამის ნაპირზედ მოჩანს პატარა ბილიკი, რომელიც ბუჩქებში ილევა.

მაგრამ ოდესმე აქაც ყოფილა კაცი. ამას ამტკიცებს ძველი ნაშთენი შენობებისა, რომელიც დროთა ვითარების გამო დანგრეულ-მიღვეწილან. ძედლები, ჭერი და იატაკი ყოველივე დამსხვრეულია. აქ-იქ ნანგრევებზედ ბალახი და გვიმრა ამოსულა.

ხალხმა იცის ეს გორა, იცის მისი წარსული, მისი ისტორია და აი, რა ნაირი ლეგენდა დადის მასზე.

მის აქედ დიდი-დიდი ხანია. იმ დროს როდესაც რუმინია შეადგენდა ერდს მთელს პოლიტიკურს სხეულს და როდესაც ყველა ეს ემონებოდა ოსმალეთს,—მაშინ ხსენებულის პრუტის ნაპირს და ამ ფანტასტიკურს გორას მფლობელობდა განთქმული

„ბოერი“ (*) გუზდა. მაშინდელი „ბოერები“ ეხლანდღეობს როდი ჰგევანდენ, მაშინ ყოველს „ბოერს“ საკუთრად თავისი ჯარი ყვანდა, ჰქონდა საკუთარი ციხე-დარბაზები, თვითონ სკრიდენ ვერცხლის და ოქროს ფულებს, ყველას მათგანს თავისი სამფლობელო ჰქონდა, დადიოდენ საომრად, იპყრობდენ ერთს, თავზარსა სცემდენ მეორეს. თვითონ გუზდა და მისი მამა-პრებიც აქ იდგნენ—იქ იყო მათი სახლ-კარი, მათი ღიდება.— შენობა, რომელიც დღეს მტვრად არის გადაქცეული, მაშინ ღიდი და უზარმაზარი იყო, მომართული მრავალის საციხურებით, თოფ-ზარბაზნებით და საიმეღო ვალავენებით. შოველივე ესა სრულს ბრძანებელად ხდიდა აქ გორას და თვეთ გორის მფლობელს ბებერი გუზდასაც.

შკანასქნელი გუზდის შთამამაელობისა იყო „ბოერი“ მათე ბუზდა. იგი ხონთქარზედ უმდიდრესი იყო, მაგრამ მოღრუბლული და მეტად ამაყი; მას მხოლოთ ერთად ერთი ქალი ყვანდა—მშვენიერი „ლულუნა“ ირინე და სწორედ რომ მშვენიერი იყო „ლულუნა“ ირინე! ბნელ ღამესავეთ შავი თვალები, მალალი და სრული გულმკერდი, კოჭამდე გრძელი თმები, თეთრი კისერი... ირინე ანგელოზს ემსგავსე ბოდა.

ბებერი ჰერცოგები, ბებერი ვენგრიის ტახტის მემკვიდრენი ნატრულობდენ „ლულუნა“ ირინეს, მაგრამ ამაყი „ბოერი“ კლდესავეთ შეუბრალებელი იყო. შევიდას უარს ეუბნებოდა. ბუზდას არ უნდოდა სიკვდილამდე განშორებიყო თავის მზის უნახავს ქალს და მიზეზიც ჰქონდა: ოთხი ლომ-გულიშვილი, ორი მკვიდრი ძმა დაიხოცნენ გუზდის თვალ წინ სასტიკი ბრძოლაში ვენგრიელებთან. მისი უმფროსი ქალს მარიცას შიგ დარბაზში ყელი გამოჰკრეს ვენგრიელებმა. მის აქედაა რაც ბებერი გუზდა მოღრუბლდა და შექმუნხედა... მის აქედაა რაც მხიარული და ყოველთვის პურმარილიანი ბუზდის სასახლე დაკეტილია ყოველ მგზავრისათვის... მის აქედ ბუზდას არა ახარებს-რა...

„ლულუნა“ ირინე ღიდათ მშვენიერი, მხიარული, კეთილი და მოსიყვარულე იყო. ხალხმა მას საფუძვლიანად უწოდა სახელად: და ჩვენის ერისა და მხოლოთ „ლულუნას“, მარტო ირინეს შეეძლო ღიმილი გამოეწვია ბებერი ბოერის პირ-სახეზედ. ბოერი ხანდის-ხან მთელი საათობით იჯდა თავის ქალთან და სტკებოდა მისის ჭიკჭიკით.

*) ბოერი ჩვენებურად ნიშნავს თავადიშვილს, როგორც მაგალ. ძველ დროში ქსნის ერისთავები იყვნენ.

პრუტის მეორე ნაპირზედ, სწორედ ფონის პირ-დაპირ—იდგა მეორე ციხე-დარბაზი. ამ ორ ნაპირის შუა მიმდინარეობდა პრუტი, რომლის სიგანე ხანდისხან 12 ვერსტამდე მიახწევდა ხოლომე. ამბობენ რომ ბუზდის ციხიდან მოჩანდა ხსენებული ციხე-დარბაზის ბანიო. ბარემემა ამ ციხე დარბაზს ალყად ერტყა აუარებელი ტყე—ახლა კი ციხისაგან დაშთენილია მხოლოთ დანგრეული კედლები, ხოლო ტყე, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ მიჰკარებია კაცის შეუბრალებელი ხელი, უფრო დაბურულია, უფრო გაუყვალა.

ამ მეორე-ციხე დარბაზში სცხოვრებდა „ბოერი“ შრზა, ესეც მავნატი—და ძველად განთქმული გვარის კაცი იყო.

შაბუკობის დროს ბუზდა და შრზა განუშორებელი მეგობრები იყვნენ და კიდევ შეჭფიცეს ერთ-მეორეს „დაძმობილება“. სიბერის დროს ორივე განშორდენ ერთ-მეორეს და აღთქვეს ურთიერთის არ დანდობა. ლეგენდა ასე იხსენიებს მათს ჩხუბს, მათი განშორების მიზეზს. ერთხელ რუმინია საძირ-კველამდინ შეირყა შინაურის ამბოხით. ბუზდა და შრზამ შეჭფიცეს ერთ-მეორეს ერთთა ბრძოლა, ერთი საგნის დაცვა. ატყდა ომი და ბუზდამ თავის საუბედუროთ დაინახა, რომ შრზა მტრებთან ერთად იყო და სასიკვდილოთ ეტანებოდა ბუზდის ჯარსა. შექმუნხეა წარბები ბებერი „ბოერმა“ და უბრძანა რომ ყველა მხედარნი მყისვე შეყრილიყვნენ ერთს ადგილსა.—

— მხლა დაღამდა, სთქვა განრისხებულმა ბუზდამ, ომის დრო აღარ არის! ხვალ ღილით ხელ-ახლად ბრძოლა ასტყდება. მე თქვენს რაზმებში ჩადეგები შრზის პირდაპირ. მინც იმას დასკრის იგი მიიღებს ჩემგან ასი ოქროს, ასი უღელი ხარს, ათასი სული-ცხვარს; ვინც შრზას მოჰკლავს, იმას მიეცემ ათას ოქროს, ყველა ძაცელის მიწებს მისის ტყით და სოფლებით, აგრეთვე ყველა იმ ჯოგს რაც კი იქა ჰსძოდეს; ვინც მომიყვანს ურზას ცოცხლად, იმას გაუხედი ჩემს მემკვიდრედ, იმას მიეცემ ჩემს ქალს ირინეს, ყველა ჩემს ქონებას და ჩემს სახელსაც!

მეორე დღეს დაიწყეს საშინელი ბრძოლა. შრზა ცოცხლად მოუყვანა ბებერს ბუზდას ერთმა ახალგაზნად მხედარმა, მაგრამ დღე ნაკლმა ვერ ეღირსა „ბოერის“ დანაპირებს—რადგან სასიკვდილო კრილობისაგან იქვე, ბუზდის ფეხთან სული განუტვნა.

ღიღის, ღიღის-ხანს უყურებდა ბებერი ბუზდა ფერ-მიხდილ შრზას: უყურებდა და მღუმარეობდა.

— მჰი, ბიჭებო! დაიღრიალა ბოლოს ბუზდამ,

აქვე გააწინეთ ეგ მოლაღატე და ასი მათრახი მო-
არტყით, მერე ისევ წაიყვანეთ მტრის რაზმში! აბა,
მალე!!

ბოერის ბრძანება მყისვე აღსრულებული იქმნა,
იმის შემდეგ ბუზდა და შრზა გადაემტერნენ ერთმა-
ნეთს და თუ შეხედებოდნენ საღმე, მხოლოთ იმის-
თვის, რომ მაშინათვე მოეკლათ ერთმანეთი.

შრზასაც ბევრი უბედურება გადახდია თავის
ხანგრძლივის სიცოცხლეში. მთელი მისი ჯალაბო-
ბა ქალი და კაცები რიგ-რიგზედ დაიხოცნენ ბრძოლის
ველზედა. მაღარჩა მხოლოთ მისი უნცროსი შეი-
ლი.

დრონი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ჯერედ
ნორჩი და პაწია ბაეში, მერე ლამაზი „ლულუნა“
ირინე ვარდისავით გაიშალა და მისი ბადალი მთელს
ბესსარაბიაში ვერ მოიპოვებოდა. ირინე შეიქმნა
სრულიწლოვანი. ბებერი ბუზდა თითქოს გაქაბუკდა
და ნელ-ნელა იფიწყებდა თავის მწარე დარდებს, წა-
რსულს გულის ქრილობას, მაგრამ მისთვის ამ ნეტარ
დროს დიდხანს არ გაუსტანია.

შეტრად ირინე მოსწყინდა. მისი ლოყების ალ-
მური ნელ-ნელა ჰქრებოდა, ლამაზი „ლულუნა“
თითქოს ავად განდაო. ჩაფიქრდა ბებერი ბუზდა.
ხელ-ახლად მოღრუბლდა მისი შუბლი... იმან
დაუწყო თვალ-ყურის დევნა „ლულუნას“, მაგრამ
ამაოდ, ვერ გაიგო ქალის ფიქრები, მაშინ ბუზდამ
მიჰმართა მოსამსახურე გოგოებს, გამდლეებს და უთ-
ხრა; კინც „ლულუნასი“ დარდის მიზეზს გამოიგებს
და შემატყობინებს იმას ოქროში ჩაესვამო!—

მაგრამ „ლულუნის“ სვედის მიზეზი ბუზდისა-
თვის გაუგებარი დარჩა—მხოლოდ ირინეს ფიქრი
ცხადი და იშკარა იყო მთვარიან ლამისათვის, პრუ-
ცის ტალღები გეტყოდათ ლულუნის დარდებს, ხშირად
ხედავდა ლულუნას დაღუმებული მთვარეც—დიახ,
მთვარე ბევრს რასმე გეტყოდათ, რომ შეძლებილი-
ყო ბებერს ბუზდას მთვარის გამოკითხვა, იგი გაი-
გებდა რომ ერთხელ მშვენიერ ზაფხულის ღამეს ურ-
ზის ციხე-დარბაზიდან გამოაქროლა ცხენი ვილაც
მხედარმა—იგი მხედარი არ მიაქენებდა თავის
ლურჯას გზატკეცილზედ ან ბილიკებით, არამედ მიჰ-
ქროდა პირდაპირ და შეუბოვრად, თითქოს უკან
სიკვდილი მოსდევსო... ტყუილსავით გადატყორცნა
მხედარმა ოღრო-ჩოღროები და მხოლოთ მდინარის
ნაპირზედ შეაყენა აქაფებული ცხენი. ცხენი შედგა
მაღაყზედ, მაგრამ მხედარი უკვე ფეხზედ იდგა; მან

ჩუმად მიაბა ცხენი ერთს ხის ტოტს და განქრა ბუ-
ჩქებში. რამდენიმე წუთის შემდეგ მხედარი ნაეზედ იჯდა
და თამამად სცემდა ნიჩაუს მუდამ მდტრენივავს ჰრუტს
მხედარმა მალე მიაღწია მერე ნაპირს, გადმოხტა
ნაეიდან, მიაბა იქვე ბუჩქს და გულის ძგეროდ დაიწ-
ყო ლოდინი...

ზაისმა საზარო ბუს ხმა,—ამას თითქოს ბა-
ნი მისცაო მტრედმა—გაისმა ისევ ტკბილი ხმა, რო-
მელიც თითქო ბუზდის ციხიდან მოდიოდა. ჩამო-
ვარდა სიჩუმე. მხოლოთ პრუტის ტალღები რაღა-
საც სჩოდენ.

მრთბაშად ვიწრო ბილიკზედ—მდინარისაკენ—
რაღაც გამოჩნდა. აჰა ამოვიდა მთვარეც და გაანათა
მშვენიერი, ღერწამ ტანის პატრონი ქალი. მეთრს,
გრძელ კაბაში, თმა გაშლილი, ყელზედ ძვირფასის
თვალეებით და მარჯნების ძიით, ოქროებით მოკაზ-
მული გულ-მკერდი მაგმშვენიერის ქალისა, ადამიანს
რაღაც ზღაპრულ არსებად ეჩვენებოდა. თამამად ჩა-
მოვიდა იგი მდინარისკენ და... მსურვალედ ჩაეარდა
მხედრის მოუთმენელი გულ-მკერდში.

— ირინე, ირინე ჩემო ყველა! კიდევ გაბედე,
კიდევ მნახე? ნუ თუ კვლავ მომშორდები, კვლავ
მარტო გამიშვებ? ღმერთო, როდის შეღირსება, რომ
შენ მთლათ ჩემი იყო, მაშინ ირინე არც ერთს საათს,
არც ერთს წუთს შენს თვალებს არ მოემშორდები
ასე გიყურებ მუდამ, სიკვდილამდე... ჩემო ანგელოზო
ჩემო...

მხედარმა ისე მიიკრა გულზედ „ლულუნა“ რომ
კინაღამ დაღრჩო, იგი რაღაც თრთოლვით ჰკოც-
ნიდა მას, მერე ისევ თვალში შეჰყუროდა, თმებს
უწინდა, ხელახლათ უშლიდა, იგი იცინოდა და სტი-
როდა კიდევ... ხელახლად ჰკოცნიდა, ხელახლად
ლაპარაკობდა...

— ირინე წავიდეთ, გავიქცეთ! არც შენი და
არც ჩემი მამა არ დათანხმდებიან ჩვენს ბედნიერე-
ბაზედ... გავიქცეთ... ჩვენ წავიდეთ ხვანთქართან,
ან პოლშაში, ან კიდევ რუსეთში; ერთი სიტყვით
საღმე ვიპოვით თავ-შესაფარს... მე ყველგან მიცნობენ,
ყველანი მიმიღებენ... მიწას მომცემენ, საქმეს გამო-
ჩენენ... შენ შემოგწირამ მთელს ჩემს სიცოცხლეს—
შენი ძიხა შევიქნები, ხელით გატარებ, მაჰმადის
რჯულსაც შევარყევ, ოღონდ შენ, შენ ნუ დამაგდებ!
მამ, წავიდეთ... გავიქცეთ!..

— არა, არა ჩემო საყვარელო! წაიდულუნა
ლონე მიხდილმა და ათრთოლებულ „ლულუნამ“,
არა, მამა ვერ გადაიტანს ასეთს უბედურებას... არც

შენი მამა გადარჩება მაგას... ჯერ მოითმინე, ცოტა მოითმინე, იქნება შეგვიბრალონ... იქნება...

დიდ ხანს იყვენ ასე დიდ ხანს ჭიკჭიკობდნენ, დიდ ხანს ეხვეოდნენ ერთ-მეორეს... დიდ ხანს... ბოლოს მთვარეშად მიიწურა, აღმოსავლეთისკენ მზემ ირაქრავა. მხედარი უკან სახლისაკენ განქრა თავის მერანხედ—ქალი კი შინი ყო...

(გაგრძელება)

ციკლოში

სხვა-და-სხვა ამბავი.

სად რა მომხდარა.

ვის არ მოეხსენება ამერიკელობის სანტიმენტალური ხასიათი? ამ დღეებში თურმე ერთს იქაურს რედაქტორს—გამომცემელს პეტრე რატიგანს, რომელიც იმავე დროს ერთს დიდს თანამდებობას ასრულებდა ამერიკის რესპუბლიკაში, თავის გაზეთში გაეშვა ერთი წერილი, რომელშიაც კომიკურად გამოჰყავდა ქალები, რომლებმაც თურმე მოიწადინეს სასმელების და სიმთვრალის მოსაპობა. აი თურმე ამ მანდილოსნებმა შეადგინეს თათბირი, გადასწყვიტეს პეტრე რატიგანს რამე სასჯელი გამოუჩინოთო და მართლაც ერთს საღამოს პატივცემულ მანდილოსნებმა კიდევ აასრულეს თავის მუქარა: დახედნენ თურმე გზაში დარბაისელს რედაქტორ-გამომცემელს და ისე დაბეგეს ცემით, რომ საბრალო რედაქტორი-გამომცემელი ეხლა ლოგინად არისო.... საკვირველი ქალებია ამერიკაში და საკვირველ საქციელსაც სჩადიან ეგ ვითომ და «უძლეური ქმნილებანი»....

ამ დღეებში გარდაიცვალა გამოჩენილი სწავლულო გერმანიისა ვილჰელმი შერერი, სიკვდილის გიჟენი თურმე მომეტებული მუშაობა ყოფილა. შერერი ცნობილი იყო როგორც გამომკვლეველი ხალხურის და ხელოვნურის პოეზიისა; 1868 წლიდან ამ უკანასკნელ ქამამდე შერერს პროფესორის კათედრა ეკირა ბერლინის უნივერსიტეტში. შერერი დაიბადა 1841 წელს.

ლონდონში ამ დღეებში კიდევ გაიჩნია მრუშობის საქმე. ერთი ფრიად პატივცემულის კაცის ცოლს თურმე ერთს გამოჩენილ პასტორთან კავ-

შირი ჰქონია, ქმარს საჩივარი შეუტანია სამჯავროში და მსაჯულთა გადაუწყვეტათ: გაეყაროს ცოლი თავის ქმარს და 15,000 მანეთი ჯარიმა გადახდესო, ხოლო პასტორი სამსჯავროსაგან სასტიკად განკიცხული იქმნა.

ვიღაც საფრანგეთის პასტორს ამ დღეებში გაუყიდნია 2000 მან. ის ეანა, რომელშიაც შარლოტა კორდემ მოჰკლა გამოჩენილი მარატი.

კრაკოეში გარდაიცვალა გამოჩენილი პოლშუერი მეცნიერი და სწავლული მეთქვი ბონკოესკი. ბონკოესკი გამოჩენილი იყო როგორც ისტორიკოსი. ბონკოესკი 80 წლის მოხუცი იყო.

ტელეგრაფმა გვატყობინებს პეტერბუდიდან, რომ გამოჩენილი აკადემიკი ბუტლეროვი გარდაცვლილა თავის სოფელში ყაზანის მაზრაშიო.

ქალ. ოდესაში ამ დღეებში თურმე უცნაური ამბავი მოხდა, ერთს ვიღაც დიდი ოჯახის ასულს, ხოლო ხანში შესულს, მოსწონებია ერთი შეეგერემანი ლამაზი ყმაწვილი კაცი, გაუცენია და შინაც წაუყვანია კიდევ. აქ ახალ-გაზდა კაცმა ხან ფრანკულად ხან ნემენტურად ხან ინგლისურად დაიწყო ლაპარაკი, ასე რომ ყველამ ერთბაშად მონათლეს იგი საფრანგეთის გრაფად, თუ ნემენტურ ბარონად. დღენი მიდიოდნენ. ვაჟ-კაცმა «პრედლოჟენიე» გაუკეთა თავის მიჯნურს და ქორცილის დღევ დანიშნული, იყო მაგრამ დახედეთ იღბალს... ახალ-გაზდა „გრაფი“ ერთს დღეს საღამო განქრა, თურმე ნუ იტყვიეთ ყმაწვილი კაცი ლაქიად ყოფილა ერთს „მიკურ რესტორანში“ და იქ შეუსწავლია ვნებიც, ქცევაც და გარეგნული ბრწყინვალეობაც...

სცენები ხალხის ცხოვრებიდან.

(ერთი ქალაქელი კინტო სახლში შკდის. კარებში იმერლის ბიჭს შესვლება და ჰკითხავს)
— კნიაზი შინ არის?
— ეინ ხარ შენ?
— გიყია ოხერი! ვერა მხედავ, ვინცა ვარ? ჩინოენიკი ვარ!
— იმე რა გეარ ჩინოენიკი ხარ? ჩინოენიკ კი არა კინტო ხარ!
მერე გოჯო თუ იცი რომ კინტო ვარ, მა რალს მკითხავ? წადი, შენ კნიაზს უთხარ კინტო გეახლა თქო.

— აბა, არ მეტყვი რა გვარი ხარ?

— გვარი რომელია, ტუტუტო, კინტო ვარ, ვა! პოლიცია ხომ არა ხარ რომ გვარსა მკითხავ.

— იმე, რაგვას უნობს ეს ვიხერი, არ გეხმის, შენი გვარი თქვა?

— ბიჭო, შენ თხები ხომ არ გაწუხებენ— წადი უთხარ კინტო თქო.

— დედავ, გედვირიე კაცი! კვინტო რომ ხარ, გვარი არა გაქვს? ქე მინც ვისგან ხარ?

— ვა, როგორ თუ ვისგან? ჩემგანა ვარ!

— მერე არ იტყვი ვინ გამოგზანა?

— ბიჭო, ე რა ძალიან ტუტუტოია!

— მალე თქვი ვინ გამოგზანა თვარა კარს დ-
მამტავ.

— გიყია მუღრეგი, ბიჭო მე თვითონ მოველი.

— მერე რაგინდა ეხლა?

— შენი ნაცვალი! რალა უნდა მინდოდეს! კნიაზს შეატყობინე რომ მოველი.

— კი შენ არ მომიკვდე, ეხლავ შევატყობინებ წადი გვეთრიე თქვა!

— ვა! აპრუწუწუნ! ნიმოჟიტ ბით!

— გეითრიე თქვა, იმე!

— იმე და დარდლუნე (კინტო თავისებურად ერთს გარგათ ჩაუფიქრებს თავში ბიჭს. ატყუდება ჩსუბი, ამ დროს კნიაზიც გამოკვ.)

— ეს რა ამბავია!

— დედავ, ბატონო, შენი კირიმე ამ ვიხერი კვინტომ კინალამ დამახრჩო!

— ვა, კნიაზ ე რა ჯოჯოხეთის მაშხალა დაგიყენებია კარებში, ვეუბნები კნიაზს უთხარ მეთქი, ეგ კი ჩამაცივდა გვარი მითხარი და მითხარიო, ვა, განა არ მიცნობ, კნიაზ, ვინცა ვარ!...

საფარ.

(წითელი ხელიწერა: უ. ს. ს. ს. ს.)

კვირიდან კვირამდე

* * როგორც შევითქვით გორში ქართული წარმოდგენის გამართვას აზირობენო. შემოსავლის ნახევარი დანიშნულია წერა ვითხვის გამაგრებლებელი საზოგადოებისათვის და მეორე ნახევარი საქველმოქმედო დანიშნულებებისათვის.

* * თავის კვლამ ჩვეულებაში მოღვათ შემოვიდა. ბათუმში ვიღაც ქალს სასტუმროში თავი მოუკლავს რე-

ვოლეკრით. ერთს აქაურს აროიანკასაც კელეკოროსია-ში“ (რესტორანია) თავი ჩამოუღრჩვია გარებზედ. კიდევ ვიღაც ქალი წყალში გადავარდნილა. კიდევ ერთს ახალგაზდა ფიჭვილ კაცს თავი მოუკლავს და კიდევ ბევრი შეკვლავს სდება: ეს ტუდი ნიშნისა და სახადგლობას ჩვენ ჩვეულებისათვის.

* * სურამში თურმე ისევ ძველს სელობას მოჰკიდეს სელიო. ტერსლის წავიდება შურით და მტრობით საუკუელდლო ვაზამად გადაქცაო.

* * სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ ჭირნახული კარგი არისო, თუმცა წვიმებმა ბევრი წიანი მოგვცაო.

* * ჩვენ შევითქვით, რომ გაკანსიების უქონლობის გამო სულ არ იღებენ მოწაფეთ არც I კლას გიმნაზ-ში და II-შიო. ეს გარემოება საკამარისად უნდა უმტკიცებდეს ვისაც ვერ არს, რომ ამიერ კავკასიის სასწავლებლები ეჭირებენ და არა ერთი და ორი, არამედ მეტი...

* * მკითხველებს მოესხებოდა რომ ქალაქში არსებობს ერთი გვარი კომიტეტი, რომელსაც ეწოდება „ბულგარის კომისისა“— აი ამ „კომისისის“ წევრები თურმე მეტად უზრდელად ქტევიან გამოკვლავ-გამოკვლავ ქალებს... ისე რომ თვით პოლიციამაც იტყვიროთ ამ გაუბატონების შორის „მშვიდობიანობის ჩამოყენება“

* * ჩვენი ქალაქის მუდმივი ტირილი დიდის ხნიდან ყოფილა და არის წყლის უქონლობა; ვინ არ იცის ჩვენ მეთუღუხების ამბავი. ესლას ქალაქის გამგებბას ტაცას შემოუღია, რომელიც არა ქალაქის მცნოვრებლების სასარგებლოდ არის. ხეტა რასეუდ ჭიჭიჭობს ქალაქის გამგებბას?

* * ამ დღეებში ერთი შესანიშნავი გურიოზი მოხდა ჩვენს კლუბში— ერთმა კლუბის წევრმა ბ-ნმა ა. ისეთი სილა აჭამა ერთს იჭაურსავე ვაჭარს ბ-ნს ს. რომ ეს უკანასკნელი იჭეე პირჭეე წაქტეუდა. აი ნამდვილი სხარტული ამას ჭჭიან! ამ სიღის შემდეგ თურმე რეკიელის ჭამსაც აზრებდენ ზოგიერთნი, მგრამ ხიზლად-ლას როგორც იყო მოუთიგებია ორი მოწინააღმდეგე დასი კომუნისტთა და კომოლუტთა?

* * ჩვენი მხარე ყოველდღე სულ ახალს და ახალს კომერსანტებს და სსვა საქმის გატებს იწვევს. ესლას გრძინიდან ჩამოსულან რამდენიმე შემდეგის მჭონე პირნი და ღვინოს წარმოებას უნდა შეუდგენენ თურმე.

* * როგორც „ივერიას“ შეუტყვეა ამ დღეებში ჩამოსულა ახლად განწყობილი თბილისის. სასულიერო სემინარიის რექტორი მ. ზასია. აგრეთვე ამბობენ რომ ამ თვის 15-ს ჩამოვა უწმინდესის სინოდისაგან დანიშნული რევიზორი ბ-ნი ჩისტოვიჩი, რომელსაც მონღო-ბილი აჭეს თბილისის სემინარიის საქმის განსილვა. —

* * გოგუბაშვილის „დედა ენის“ უკვე გათავებულია და ცალკე წიგნათაგ გამოსულა. ეს გამოცემა 20,000 კოპიემდარი დაბეჭდილა.

* * ამ დღეებში ჩვენ მოვიპოვეთ ერთი ნემცური წიგნი, რომელსაც სათაურში „კავკასია“ აწერია. ეს თხზულება დაუწერია ალექსანდრე ზეპინოვს. დაბეჭდილია 1866 წ. ქ. ლეიპციგში. წიგნის სისქე 387 გვერდზედ მეტს შეიცავს და მასში ბერი სანტურესო რამ არას ჩვენის ქვეყნის შესახებ.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენის მეზობელ სეპუგინის მეფის თეიმურაზ პირველის (1608—1665 წ.) ლაშქარის ბეჭდვა დაუწყებიათ და საზაფხულთ ცალკე წიგნათაგ გამოვა.

* * ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთ ნაწერი წიგნი, სახელდობრ „კითხვა მიგებითი სწავლა“. წიგნი შედგენილია ბერის იოანე სელაშვილისაგან, ეს ის გამოჩენილი ბერია, რომელიც იოანე ბატონიშვილმა „სალომსობა“-ში დიდის დიდებით და მრავალწინის თეოდოსიოზის საგნების ცოდნით გამოხატა. სხვათა მრავალთა შორის ეს წიგნი შეიცავს საჭიროებელს სიკვლევის და სამოქალაქო ისტორიის ნაწილსაცა, ლიტურგიის სწავლის გავრცელებას და სხვა მრავალ ამ გვართა.

* * შველასზე სანტურესო ამ წიგნისა წინა სიტყვაობა არის; წინასიტყვაობის დამწერი მოგვითხრობს, რომ მე მეფე ერეკლე მზრდიდა სამს სკოლაშია, პირველად თფილის—მეტეხის სკოლას ვსწავლობდი, შემდეგ ქიზიყის წმიდა ნინოს სასწავლებელში და ბოლოს თელავის სკოლაშია.

* * ფოთიდან გავტყობინებენ, რომ იჭაურ ჰოლი-ციმეისტრის ბარონ ჭონ-გეიკინის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახობა საშინელ და საცოდავად მდგომარეობაში დაჩნდა და იჭაურ ზოგიერთ პირებმა მთავადენეს სკოლის მძღვრით ფულის მოგროვება და გადაცემა მოაგროვეს 1,000 მანეთამდე. ეს სასიქადულო საქციელი ფოთლებისა მეტად საქებარი და სათვალწინია.

* * იქიდანვე გავტყობინებენ, რომ იჭაურებს თავი მობაზრებს ახლად ჩამოსული ნიკიტინის ცირკის „არტისტებმა“ ამ დღეებში ერთი უწესობა მომხდარა ამ „არტისტების“ მეორებით, მაგრამ „წესიერების დამცველებს“ დამნაშავენი გაუმართლებიათ და მართლდნი დაუტუსალებიათ...

სიტყვების გამოცანა

- I რომელსავე რიცხვს წინ დაურთეთ ორი უხმო ასო: ყველა ეს შეადგენს ისეთს ანსებითს სიტყვას, რომელსაც ყველანი თავიანთს სცემენ.
- II სახელწოდებას წოდებითი ბრუნვაში, წინ დაურთეთ თანდებული: ყველა ეს შეადგენს ერთის მშენებრის ქვეყნის სახელს.
- III სახელწოდებას, რომელიც ერთსელ ყველას ეწოდების, მოჭკვეთეთ უკანასქნელი სმოჯანი ასო, დაურთეთ ბოლოს ერთი გვარი მცნარეს სახელი; ყველა ეს შეადგენს ჩვენი თანამედროვე მოეტის სახელს.

ასსნა სიტყვის გამოცანისა.

1, საბა—ნი 2, ლ—ომი, 3, მა—მული. ასსნეს. არშაკამ, კატო მ—ამ, სანდრო და ლიზამ.

ასსნა უცხო წერა კითხვისა

ატამი ითეს ასეთი იმატა.

გასართობი

ერთსელ სწარსეთის მეფემ—კამბიზმა, ღვინოსაგან განცრხლებულმა, ჭკითხს თავის საყვარელს მეგობარს პრეკსასსს:

- რას ამბობენ ჩემზე სწარსელებო?
- მეფე! უზასუხს პრეკსასსსმა, ისინი შენ ძლიერ გაჭებენ; მაგრამ ჭკონიათ, რომ ზომასე მეტს სუამთ ღვინოსა.

კამბიზმა აიღო შვილდ-ისარი და ესროლა იჭეე ახლო მგამს პრეკსასსსის შვილს; ისარი ყრმას გუელში ჩაურჭო.

— აბა, ვგებარ ესლს მთვრალს, თუ არაო, ჭკითხს მეფემ.

— ღმერთებიც ვერ ისროდენ უფრო მარჯვეთო, მიუგო უბედურმა მამამ.

განსვენებული თავადი გ. მ—ი ჭკვიანი და ხოლოტიკოსი კაცი იყო; მისი დაფარული მიმართულება მხელსკედ მსელი გამოსაცნობი იყო. როგორც მოგვსენუბათ. მ—ი გარდაიცვალა სამზღვარ გარეთ. როდესაც განსვენებულის გვამი მოასვენეს თ—ში, რეინის გზის ვაკუნალზე დიდ-ძალი ხალხი დასკვდა. მატარებლიდგან გარდმოტანა დააპირეს მუშებმა. კუბო მიწვალბულისა ოთხ გუთხივ თანასწორ ყუთში იდგა: მუშები შეჩერდნენ—არ იცოდნენ, სიდეთ ჭქონდა თავი და სიდეთ ბოლო ნეტარ სსენებულის გვამს, რომ ჰირველად ის მსარე აეწიანთ, სიდეთაც თავი ჭქონდათ, რომ აესსათ ეს გამოცანა—ერთმა მუშათაგანმა მიმართა იქვე მდგომს აკაგის ამ სიტყვებით:

— ბატონო! თქვენი ჭირიემთ გვიბრძანეთ—სიდეთას აქვს თავი მიწვალბულისო?

— რა ვიცი, ჩემო მამო!—მიუგო მოსწრებულმა აკაგომ—სიცოცხლეში, რომ ვერ გოუკეთ—სიდეთ ჭქონდა თავიო, სიკვდილს შეძლეკ ვინდა გაუგებსო მავკურთხეულსო!

გ. თხელი.

— ის რა ღარი მიმედიეთ გუშინ? ერთი საღამოთი დაწის და სსინლად აფროლდა.

— გასაცარი საქმა! მთელი საში თვე ყაფაზებულედ გვეყარა—არ აფროლდა და ესლა რა ღმერთი გასწყრომიან.

სამ—ლოსმა ა. გ—რელმა წერილი გაგზავნა ერთი შესხნაკათ მსინჯვი მსახურის სელით. ბატონს მსახურმა მდნლათ თავი დაუგრა და წერილი მიართვა. ბატონმა მსახური აათვალეურ-ჩანთვალეურა და ჭკითხა.

— ვისგან არის ეს წერილი?

— ა. გ.—ლისაგან გასლავს, ბატონო, მიუგო მსახურმა.

— მერე ა-ს შესხე უკეთესი კაცები არ ყავდა—შენ რომ არ გამოეგზავნე?

— კი გასლდათ, ბატონო, მაგრამ უკეთესები უკეთესობის გაგზავნა და მე თქვენთან გამოეგზავნა, მიუგო მსახურმა

ერთს ელჩის ჭკითხეს: თქვენ თავად მოსკვდიოთ თუ სსხელმწიფომ გამოეგზავნათო? „თუ ჩემი ელჩობა გა-მარჯვებსა მოასწავებს სხელმწიფის გამოეგზავნილი ვარ, თუ არა და ჩემ თავად მოკვდიო, — უპასუხა მან.

ფილოსოფოსი ფალესი როცა ახალგაზდა იყო დედა ჩამოკვდა, ცოლი შეერთო. „ვერ დრო არ არის!“ — შეძლეკში, როცა დეამ კიდევ მოაგონა ეს სსგანი, უთხრა: „ესლა გვიანდააო“.

ერთი კაცი დაკეითხს სოკრატს ცოლის შერთვის შესსება: „შეერთავ თუ არა, მაინც ამას ვი გეტყვი, რომ ორსავე შემთხვევაში უეჭველად ინახებო! მიოგო სოკრატმა.

«თეატრის» ფოსტა.

ბ—ნ ს. ი. ა—გ ს. თქვენი ლექსი დასაბეჭდათ ვერ გამოდგა. სცადეთ კიდევ, იქნება მეორე უკეთ გამოვიდეს.

გ. ო. შ. ი. ბ—ნ ა. ლ. ავალია შვილი თქვენი წერილი მივიღეთ, მაგრამ დაბეჭდა ვერ მოვანერეთო. რაც შეეხება, იმას რომ № 171—შვილისაგან დადგენილის კითხვის პასუხს, პალიან დაგვაგალებოთ თუ პასუხს გასცემთ. ამ საგანზე ერთი პასუხი ჩვენი გაზეთის 27 №-ში დაბეჭდილი იყო, მაგრამ კითხვა ისევ აუხსნელი დარჩა.

ბ—ნ ს. ნაკოლ—ძეს. თქვენი კითხვა ვერ დაიბეჭდა!

ბ—ნ ს. X—ს. თქვენ ჭკითხულობთ, რა მიზეზია, რომ „კითხვებზედ“ პასუხს არ ბეჭდავთ?

ქუთაისი. ბ—ნ ს. ჯაბუკს. „ქერას თვალი არა ჭკონდა, ღმერთსა წარსა ჭსონოვდაო“ ეს ანდაზა ყოველ დილით გაიმეორეთ, იქნება მაშინ „პოეტობას, შირობას“ თავი დაანებოთ.

„ქუთაისში ბატონო ჭირვეულო, ჭირვეულობაც რიგით უნდა!“—

ფოთში ბ—ნ ს. ა—ძეს. თქვენი მოწერილი ამავე, თუ-ცა სასურველია რომ დაიბეჭდოს და დაიბეჭდებოდა კიდევ, მაგრამ ვერ მოვანერეთო.

რედაქტორ-გამომცემლის მაგაერი ვალდერიან გუნდა.